ხელშეკრულება №32

ოზურგეთი 25 მაისი 2023 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია **შ.პ.ს. “სერვისი-7”,** რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის ქ-ნ **ნინო ჩხაიძის** სახით (შემდგომში -„შემსყიდველი“) ერთის მხრივ,

და

ი/მ „თამაზ ბუკია“ -ს სახით (შემდგომში - „შემსრულებელი“) მეორეს მხრივ,

ხელშეკრულების ტექსტში მოხსენიებულნი, როგორც „მხარე” ან ერთობლივად როგორც, „მხარეები”, ვეყრდნობით რა თანასწორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულება მიზნად ისახავს შპს „სერვისი-7“-ის ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის საფასურის დადგენას და ატრაქციონებით მომსახურების საფასურის დადგენას.
(**CPV79419000**)

2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. „შემსრულებელი” ვალდებულია:

2.1.1 გაუწიოს , „შემსყიდველს” კვალიფიციური შეფასებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

2.1.2. საიდუმლოდ შეინახოს შეფასებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებისას მიღებული ინფორმაცია, არ გათქვას „შემსყიდველის” კომერციული საიდუმლოება.

2.1.3. აუნაზღაუროს „შემსყიდველს” არასწორი კონსულტაციებისა და მითითების შედეგად მიყენებული ზარალი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

2.1.4. ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 5 ივნისამდე ჩაატაროს შეფასებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება წარუდგინოს დასკვნა „შემსყიდველს”.

2.2 „შემსყიდველი” ვალდებულია:

2.2.1. შეუქმნას „შემსრულებელს” სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პირობები, გადასცეს შეფასების ჩატარებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

2.2.2. აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალის-წინებულ ვადებში.

3. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 „ „შემსყიდველი” შესრულებული სამუშაოებისათვის „შემსრულებელს” უხდის 4000 /ოთხი ათასი/ ლარს.

3.2. ანაზღაურება მოხდება გადარიცხვის წესით „შემსრულებლის” ანგარიშს-წორების ანგარიშზე. გადასახდელი თანხა შემსრულებლის ანგარიშზე ჩაირიცხება დასკვნის ჩაბარებიდან 10 სამუშაო ვადაში.

4. სხვა პირობები

4.1. „შემსყიდველსა” და „შემსრულებელს” შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად და ორივე მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

4.3. ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 25 მაისიდან 2023 წლის 10 აგვისტომდე.

5. მხაერთა იურიდიული მისამართები

„შემსყიდველი“	„შემსრულებელი“
შ.პ.ს. “სერვისი-7”	ი/მ „თამაზ ბუკია“
ოზურგეთი,ნატანები,შეკვეთილი	ს/კ 19001054047
ს/კ 204532899	მისამართი: ქ.ზუგდიდი, ჩილაჩავას ქ.#72 ა
ს/ს „ბანკი ქართუ”	
ა/ა- GE49CR0150009200013402	TEBAGE22
ბ/კ- CRTUGE22	ა/ა GE62KS00 0000 1360 1369 99
დირექტორი: ნ. ჩხაიძე	დირექტორი: თ. ბუკია

Nino Chkhaidze

Подписано: Nino Chkhaidze
DN: cn=Nino Chkhaidze, c=GE, o=Citizen
Дата: 2023.05.25 12:16:06 +04'00'

Tamaz Bukia

Digitally signed by Tamaz Bukia
Date: 2023.05.25 12:28:11 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ოზურგეთი, ნატანები, შეკვეთილი 25.05.2023 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა შპს „სერვისი-7“-ის მიერ ი/მ „თამაზ ბუკია“ -სთან 2023 წლის 25 მაისს გაფორმებული №32 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.**

შპს „სერვისი-7“

დირექტორი: **ნ. ჩხაიძე** ი/მ; თ. ბუკია

Nino Chkhaidze

Подписано: Nino Chkhaidze
DN: cn=Nino Chkhaidze, c=GE, o=Citizen
Дата: 2023.05.25 12:16:29 +04'00'